

მიკროეკონომიკა ♦ მაკროეკონომიკა ♦ ეკონომეტრიკა
MICROECONOMICS ♦ MACROECONOMICS ♦ ECONOMETRICS

ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის სტრატეგია
პოსტპანდემიურ პერიოდში

მაჩინა ტაბატაძე

ასისტენტ-პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tabatadze_marina@yahoo.com

ხედისუფლების მნიშვნელოვანი ფუნქცია განვითაების ხისკების პი-
ვენცია, სწორი ანტიკრიზისული პოლიტიკის შემუშავება და გლობალური მოთხო-
ვნებთან მისი პაჩმონიებაა. პანდემიუმა პოცესებმა სახელმწიფოს
ეკონომიკური ახის, მისი მმართველობითი ფუნქციის განსაკუთრებული აქ-
ტუალიზება მოახდინა. ნაშომში განხილულია ინტეგრაციული პოცესების
ეფექტიანი მაჩთვის სტრატეგიები და სახელმწიფო მაჩთვის სისტემის მე-
ქანიზმები, გაანალიზებულია ხედისუფლების ეკონომიკური ფუნქციები ახას-
ტადილური განვითაების პიხობებში, ანტიკრიზისული პოლიტიკის გავდენა
სოციალური-ეკონომიკური სისტემასა და განვითაების სტადილიზაციაზე.

სტატიაში მოცემულია კიხისულ გახეომში სისტემების სწორი კოოხდი-
ნიების და ფუნქციების ოპტიმალური განაწილების საკითხები. განხილულია
კიხისის შემდგომ პეიოდში ეკონომიკის მაჩთვის თანამედროვე კონცეპ-
ტუალური მიდგომები, გაანალიზებულია ეხოვნული ანტიკრიზისული ხეფოხმე-
ბის გლობალური სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხები.

სტატიაში განხილულია პანდემიური კიხისის ეფექტიანი მაჩთვის მიზ-
ნით საქართველოში განხორციელებული ხეფოხმები, ხედისუფლების ანტიკ-
რიზისული გეგმა და 2021-2022 წლების პოსტკრიზისული სტრატეგიები, მისი
ძიხითადი ინსტიტუტები და ხეალური ეფექტები. ნაშომში შეფასებულია
ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის ძიხითადი ფოხმები და მაკროეკო-
ნომიკური შედეგები.

საკვანძო სიყვებო: სახელმწიფოს პოსტპანდემიური სტრატეგია, ეკო-
ნომიკური სტადილიზება, სახელმწიფოს ეკონომიკური პიოოტიტეები, ეკო-
ნომიკის სახელმწიფო მხარდაჭერა.

შესავალი

გლობალურმა სისტემებმა ქვეყნების მომავალი მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახადა იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად პოზიციონირებენ ისინი მსოფლიო ეკონომიკაში და რამდენად ადვილად ადაპტირებენ ტრანსფორმაციულ გარემოსთან. მსოფლიოს დაბალანსებული განვითარების აუცილებლობა და პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკური კრიზისების გამწვავება განსაკუთრებით ზრდის გლობალურ გარემოში ხელისუფლების ოპტიმალური ფუნქციონირების ამოცანას, რაც ეკონომიკის მართვის კომპლექსური სტანდარტების შემუშავებას, ქვეყნების დამოუკიდებელი ანტიკრიზისული პოლიტიკის ურთიერთკოორდინირებას და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების სწორ პროგნოზირებას მოითხოვს.

კრიზისის მართვა მეცნიერულად დასაბუთებული, ერთიანი, კომპლექსური პროცესია, რომელიც უშუალოდ კრიზისული პერიოდის რეფორმებთან ერთად, კრიზისის მწვავე ეტაპიდან გამოსვლის შემდეგ ეკონომიკის სწორად გაძღოლის პროცესს, მისი რაციონალური სტრატეგიის განსაზღვრას და პოსტკრიზისული პროცესების პროგნოზირებას მოიცავს.

თანამედროვე ანტიკრიზისული სტრატეგია მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ქვეყნების საკუთარი ინტერესების პრიორიტეტულობის იდეიდან გამომდინარე, რთულდება კრიზისის მართვის ერთიანი უნიფიცირებული მოდელის შემუშავება, ძლიერდება არაეკონომიკური ხასიათის კრიზისწარმომქმნელი ფაქტორების როლი, პრობლემური ხდება კრიზისის შედეგების და, შესაბამისად, ანტიკრიზისული სტრატეგიის ეფექტის სწორი პროგნოზირება.

სწრაფადცვლადი გარემო ობიექტურად მოითხოვს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ზრდას და ეკონომიკურ პროცესებში მის აქტიურ ჩართულობას. გლობალიზაციის ერთ-ერთი მოთხოვნა თანამედროვე ეკონომიკაში ხელისუფლების მიერ დესტაბილიზაციის პრევენცია და კრიზისწარმომქმნელ ფაქტორებზე ზემოქმედებაა, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს მზარდი ფინანსური რისკების მართვა და მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე მისი უარყოფითი გავლენის შესუსტება.

კრიზისული სიტუაციების სახელმწიფო რეგულირება, პირველ რიგში, კრიზისის მიზეზების გამოვლენას და სწორი პრიორიტეტების განსაზღვრას მოითხოვს, რამაც ეკონომიკური ზრდის ოპტიმიზაციას და განვითარების ეფექტიანობას უნდა შეუწყოს ხელი. სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქცია რეაბილიტაციის პროცესისათვის სამართლებ-

რივი და მარეგულირებელი ბაზის საფუძველზე, ოპტიმალური ეკონომიკური გარემოს შექმნა და მხარდაჭერაა.

კრიზისის სახელმწიფო მართვის თანამედროვე სტანდარტები

მიმდინარე არასტაბილურ პირობებში სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ეკონომიკური კრიზისების წარმოქმნის კანონზომიერებები და მასში სახელმწიფოს ჩარევის სტრატეგიები. გლობალურ გარემოში კრიზისებს, პირველ რიგში, ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, კაპიტალის მოძრაობის მეტისმეტი ლიბერალიზაცია, მაღალი საბანკო რისკი და გარე შოკების მიმართ საბანკო სისტემის მოწყვლადობის ზრდა განაპირობებს, ეკონომიკურ რყევებს დღეს არაეკონომიკური კრიზისწარმოქმნელი ფაქტორების ზრდაც იწვევს, რაც კრიზისის მართვის სტანდარტულ მექანიზმებს ასუსტებს და მნიშვნელოვნად აფერხებს სწორი პროგნოზების გაკეთებას. „ანტიკრიზისული სტრატეგიის განსაზღვრა კრიზისის პროგნოზირების და მისი დაძლევის მართვადი პროცესია, რომელიც სისტემის მიზნებს და მისი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს უნდა შეესაბამებოდეს“. (ტაბატაძე, 2016, 480).

პოსტკრიზისული პერიოდის მთავარი კონცეფცია ეკონომიკური ზრდის ნაცვლად, მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა გახდა, შესაბამისად, ანტიკრიზისული რეფორმების შეფასების კრიტერიუმში მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენა და მისი გრძელვადიანი პერიოდისათვის შენარჩუნებაა. პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკური რეაბილიტაციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა არამხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისათვის, რომელთა ეკონომიკა უაღრესად მყიფე და გარე ფაქტორების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა, არამედ, მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც, რამდენადაც, პანდემიამ მათი ეკონომიკური აქტივობა საკუთარი გავლენის ქვეშ მოაქცია და მის მიმდინარეობაზე გახადა დამოკიდებული.

პანდემიური კრიზისით გამოწვეულმა რადიკალურმა ცვლილებებმა ეკონომიკის რეგულირების ახალი სტანდარტების განსაზღვრა და სახელმწიფოს ფუნქციის მნიშვნელოვანი ამაღლება, ანტიკრიზისული ღონისძიებების სახელმწიფოთაშორისი კოორდინაცია და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროცესში სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტული როლი მოითხოვა. „სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოება სტიქიური საბაზრო ძალების უარყოფითი გავლენისაგან, მან უნდა იზრუნოს წარმოების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებაზე, საწარმოო და სოცი-

ალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდაზე“ (ტაბატაძე, 2019, 70).

პოსტპანდემიური რეაბილიტაციის წარმატება მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ეკონომიკის გახსნაზე და მოხმარების სტანდარტული მასშტაბების აღდგენაზე, გლობალური ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობასა და მსოფლიო ბაზრებზე კრიზისის რეციდივების ხანგრძლივობაზე. ამ პრობლემებმა განსაკუთრებული როლი მიანიჭა ეკონომიკის რეაბილიტაციის და განვითარების სტაბილიზაციის სახელმწიფო მხარდაჭერას, „ხელისუფლება-ბიზნესის“ თანამშრომლობის ახალი სტანდარტების დამკვიდრებას.

საქართველოს ანტიკრიზისული სტრატეგია საერთაშორისო ეკონომიკურმა და ფინანსურმა ინსტიტუტებმა კრიზისის მართვის საუკეთესო პრაქტიკორმად აღიარეს. მეცნიერულად არგუმენტირებული, სამართლებრივად დასაბუთებული და ინსტიტუციურად სრულყოფილი ჩვენი გამოცდილება დადებითი პრეცედენტი გახდა სხვა ქვეყნებისთვის ეკონომიკური არასტაბილურობის პრევენციისა და რეაბილიტაციის სწორი სტრატეგიის შემუშავების პროცესში.

კრიზისული ქვეყნების ეკონომიკური მხარდაჭერის საერთაშორისო მექანიზმები

კრიზისის პერიოდის და, განსაკუთრებით, კრიზისისშემდგომმა მართვის პროცესებმა, მკაფიოდ გამოავლინა ეროვნული ხელისუფლებების მზარდი როლი და მისი დომინანტური ანტიკრიზისული ფუნქცია. მთავარი გზავნილი, რაც პანდემიური კრიზისის მართვით მიიღო მსოფლიომ, ეს არის ქვეყნების ანტიკრიზისული პროგრამების კოორდინაციის და მაქსიმალური ფინანსური მხარდაჭერის აუცილებლობა. ეს იდეა სწორედ პანდემიამ გახადა პოპულარული, მან არსებითი გავლენა იქონია სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის თანამედროვე გლობალურ სტრატეგიაზე. საერთაშორისო პროგრამებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა განვითარებად ქვეყნებში პანდემიური კრიზისის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციასა და განვითარების სტაბილიზაციაში.

პანდემიური კრიზისისადმი სწრაფი და კოორდინირებული რეაგირების მიზნით, ევროკავშირმა „სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეკრულების ზოგადი სადაზღვევო მუხლი“ შეიმუშავა, ის ითვალისწინებდა წევრი-ქვეყნების ეკონომიკის მხარდაჭერას ფისკალური შეზღუდვების მნიშვნელოვნად შემსუბუქების ხარჯზე, რის ინდივიდუალ-

ლურად გატარების უფლებასაც ანიჭებდა ცალკეულ ხელისუფლებებს (ევროკომისია, 2020 a).

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების უმნიშვნელოვანესი მხარდაჭერა საქართველოსთვის განსაკუთრებით გაიზარდა პანდემიის პერიოდში. ეს აისახა გაეროს „განვითარების პროგრამაში - UNDP“. პროგრამის ადმინისტრატორმა, აჰიმ შტაინერმა აღნიშნა: „პარტნიორობთან ერთად, გაერო აქტიურად მუშაობს შემდეგ პრიორიტეტებზე: ჯანდაცვის სექტორის მხარდაჭერა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად, კრიზისის მართვის და რეაგირების გაძლიერება, კრიტიკული სოციალური და ეკონომიკური შედეგების დაძლევა“ (შტაინერი, 2020).

სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკის მართვის ერთიანი მექანიზმების შესაქმნელად შემუშავდა ევროკავშირის სახელმწიფოთა გრძელვადიანი პლატფორმები: «EU for Health» - «ევროკავშირი ჯანმრთელობისთვის», „კოვიდ-19, ევროკავშირის 10 ღონისძიება ეკონომიკის დასახმარებლად“, „მწვანე ეკონომიკა“, „ციფრული დღის წესრიგი“ და სხვ. ინტეგრირებული ანტიკრიზისული გეგმის საუკეთესო ნიმუში იყო „დროებითი სახელმწიფო დახმარების ჩარჩო“, რამაც ვითარების დასტაბილიზებაში არსებითი როლი ითამაშა როგორც წევრი ქვეყნების, ასევე, საქართველოს ეკონომიკაშიც (ევროკომისია (2020b).

2021 წლის 11 თებერვალს ევროკომისიამ გამოაქვეყნა „სახელმწიფო დახმარების ახალი სახელმძღვანელო გეგმა“, რომელმაც ჩამოაყალიბა კრიზისისშემდგომი ეკონომიკის რეაბილიტაციის ახალი სტანდარტები და შესაბამისი რეკომენდაციები. ევროსაბჭოს ეკონომიკის კომისარმა პაოლო ჯენტილონიმ აღნიშნა, რომ „მომდევნო ორი წლის პერსპექტივა არის სტაბილური, მაგრამ სუსტი ეკონომიკური ზრდა, რაც პოზიტიური მოვლენაა სამუშაო ადგილების შექმნისა და შენარჩუნებისათვის. ასევე საკმაოდ იმედისმომცემია სავაჭრო დაძაბულობის შენელება და გარკვეულწილად, მისი განმუხტვა, მაგრამ პოლიტიკური დაძაბულობა კვლავ ნარჩუნდება, რაც საწარმოო სექტორის პერსპექტივებს ამცირებს“ (Gentiloni, 2020). საერთაშორისო ანტიკრიზისული საქმიანობის კოორდინაციის მიზნით შემუშავდა 2021-2027 წწ. ევროკავშირთან ურთიერთობის ახალი სტრატეგიული დოკუმენტი „მრავალწლიანი ინდიკატური პროგრამა - MTP“, რომელიც ამ თანამშრომლობას უფრო ფართო მასშტაბებს და ახალ პარტნიორულ მიმართულებებს სძენს (ევროკომისია, 2020b).

განსაკუთრებით მაღალი იყო ევროპის ცენტრალური ბანკის წვლილი ქვეყნების ლიკვიდური სახსრებით უზრუნველყოფის საკითხში. ბანკებს რეკომენდაცია მიეცათ მეწარმეთათვის შეღავათიანი სესხების

გაცემასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ევროპარლამენტმა დაამტკიცა „ევროპული ბანკების მხარდაჭერის დროებითი მიზნობრივი გეგმა“, რაც ითვალისწინებდა, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საკრედიტო ნაკადის პრიორიტეტულ უზრუნველყოფას. ცვლილებები შევიდა „კაპიტალური მოთხოვნების რეგულაციაში - CRR“. კომპანიებისათვის ლიკვიდურობის მწვავე დეფიციტის დასაფარავად და საგარეო ვაჭრობაში მათი ფინანსური რისკების შესამცირებლად, ევროკომისიამ 2021 წლიდან აამოქმედა „შეთანხმება სადაზღვევო სააგენტოებთან“, მათთვის საექსპორტო კრედიტის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

2020 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა საინფორმაციო მედიის ციფრული მხარდაჭერის სახელმწიფო დახმარების 11 სახელმძღვანელო მოდელი, რაც ციფრულ მედიაზე გადასვლის მხარდასაჭერად მთლიანი დანახარჯებიდან 20%-ის გამოყოფას ითვალისწინებდა. 2020-2021 წწ. სამეწარმეო სექტორში ფორმირებული სტაბილიზაციის ტენდენციამ და ვაჭრობის ვარდნის შეჩერებამ, საშუალება მისცა ევროპას, შეენარჩუნებინა ეკონომიკური ზრდის ნელი, მაგრამ სტაბილური ტემპი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის სსფ-თან პარტნიორული ურთიერთობა. საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის 2021 წელს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის გაუმჯობესების მიზნით დაიდო სამწლიანი შეთანხმება 289 მლნ აშშ დოლარის მოცულობის მხარდამჭერ პროგრამაზე - Stand-By Arrangement.

2021-2022 წწ. მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად გაფორმდა 17 სასესხო/საგრანტო შეთანხმება, რამაც 1.07 მლრდ ევრო შეადგინა, მათ შორის 195 მლნ ევრო გამოიყო საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამებისა და 871 მლნ ევრო საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად. პოსტკრიზისული პერიოდის ღონისძიებების ფინანსურმა დახმარებამ 113.5 მლნ ევრო შეადგინა.

მსოფლიო ბანკის მიერ მულტიდონორული ნდობის ფონდიდან, საქართველოს სამთომომპოვებელი სექტორის მხარდაჭერისათვის, გამოიყო 400 ათასი აშშ დოლარის გრანტი, რაც მიზნად ისახავდა საზღვარგარეთ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის პოპულარიზაციის და ინვესტიციების მოზიდვის საკითხში საქართველოს დახმარებას.

2022 წლის 30 მარტს, საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (EBRD) შორის, საჯარო მმართველობაში არსებული ინსტიტუტებისა და სისტემების დაფინანსების მიზნით, გაფორმდა სასესხო შეთანხმება - „საქართველოს ადამიან-კაპიტალის

პროგრამა“, რომლის ფარგლებში საქართველოს გამოეყო 358.5 მლნ ევრო.

2020-2021 წწ. საქართველომ სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტი-საგან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები მიიღო: EBRD-თან დაიდო 670 მლნ ევროს მოცულობის სასესხო ხელშეკრულება „აჭარის მყარი ნარჩენების დამატებით დაფინანსებასთან დაკავშირებით“, გერმანიის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან - KfW სასესხო შეთანხმება - „საქართველოში საჯარო შენობებში ენერგოეფექტურობის პროგრამა“, საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა-AFD და აზიის განვითარების ბანკთან-ADB, - „ფისკალური მდგრადობისა და სოციალური დაცვის პროგრამა, ევროპული სამშვიდობო ინსტრუმენტის ფარგლებში“-EPF 2021 წლის 2 დეკემბერს ევროსაბჭომ საქართველოსთვის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით, დაამტკიცა ფინანსური დახმარების პაკეტი 12,75 მლნ ევროს ოდენობით, აშშ-ის კონგრესმა საქართველოს 2022 წლისთვის გამოეყო 132 მლნ აშშ დოლარის დახმარება, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსა და „საქართველოს ბანკს“ შორის გაფორმდა 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების მიზნით და სხვა.

მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უწყებების მხარდასაჭერად ხორციელდება Twinning-ის 12 პროექტი და TAIX-ის პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს პოსტპანდემიური რეაბილიტაციის სტრატეგიის წარმატებას.

ეკონომიკის პოსტპანდემიური რეაბილიტაციის ძირითადი ტენდენციები

პანდემიური კრიზისის მართვამ მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა. ქვეყნების პოსტპანდემიური რეაბილიტაციის ეროვნულ სტრატეგიებს ეკონომიკის გამოთანაბრების, მისი კონკურენტულობის ამაღლების, სოციალური და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის, ხელისუფლებებს შორის ურთიერთგაგების და თანამშრომლობის, საერთაშორისო ლიკვიდობისადმი ქვეყნების ადეკვატური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპები დაედო საფუძვლად.

2021 წლის პოზიტიურმა ეკონომიკურმა პროცესებმა გლობალურ ანტიკრიზისულ სტრატეგიაში არსებითი ცვლილებები შეიტანა და საწყის ეტაპზე სრულიად არაპროგნოზირებადმა ტენდენციებმა კრიზისის კლასიკური ნიშნები შეიძინა, რაც იმით გამოიხატა, რომ განსაკუთრებით გამ-

წვავდა სავალო კრიზისი, გაიზარდა ბიუჯეტის დანახარჯები, დაფიქსირდა სტაგფლაციის პროცესი, სასაქონლო ბაზრებზე მოხდა სტრუქტურული ძვრები. ამ ცვლილებების შედეგად, 2021 წლიდან პროცესები მართვის თეორიაში საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტების საფუძველზე წარიმართა, რამაც კრიზისის რეგულირება მნიშვნელოვნად უფრო ეფექტიანი და მართვადი გახადა. ამასთან დაკავშირებით, ევროსაბჭოს აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა ვალდის დომბროვსკისმა აღნიშნა, რომ „რთული გარემოს მიუხედავად, ევროპის ეკონომიკა კვლავ კარგ მდგომარეობაშია: სამუშაო ადგილების შექმნა გრძელდება და ხელფასები იზრდება. ამასთან, სიფრთხილე გვმართებს იმ რისკებზე, რომლებიც თანდათან იკვეთება: მზარდი გეოპოლიტიკური არასტაბილურობა, სავაჭრო პრობლემებთან ერთად. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ სტრუქტურული რეფორმები, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას და პროდუქტიულობის ამაღლებას“ (ევროკომისია, 2020a).

საქართველოს ეკონომიკისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ფისკალური სტაბილურობის მიღწევას და სახელმწიფო ვალის რეგულირებას მიენიჭა. კრიზისის მართვის სახელმწიფო პოლიტიკა ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლზე, ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობის ზრდაზე, ფისკალური პოლიტიკის ციკლურობის შემცირებასა და მისი არამდგრადობის პრევენციაზე იყო დამყარებული. მსოფლიო ექსპერტების შეფასებით, საქართველოში კრიზისის მართვის ფისკალური სტრატეგია სწორად წარიმართა, რამდენადაც, ხელისუფლებამ შეძლო მაკროეკონომიკური წონასწორობისთვის საჭირო ძირითადი შიდა რესურსების შენარჩუნება, რამაც უკვე 2021 წელს ქვეყანაში ეკონომიკის აღდგენის უპრეცედენტო ტემპები განაპირობა. საქართველოს განვითარების სტრატეგიაში ეფექტური აღმოჩნდა სწორი დარგობრივი პრიორიტეტების განსაზღვრა, ბიზნეს-სექტორის და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერის პოლიტიკა. კრიზისმა ობიექტურად გახადა აქტუალური ეკონომიკის რესტრუქტურირაციის, დარგების დივერსიფიკაციის და ეკონომიკური აქტივობის ახალი მიმართულებების შექმნის საკითხი, ევროკავშირმა ახალ დარგობრივ პრიორიტეტად უპირატესად, კლიმატ, ენერგოდამზოგავი და ე.წ. „ჭკვიანი დარგების“ („ციფრული ეკონომიკა“ „ცირკულარული ეკონომიკა“) განვითარება მიიჩნია. ამ დარგებისთვის მან 2021 წელს წევრი-ქვეყნებისთვის 1 ტრლნ ევრო გამოჰყო.

ეკონომიკის რეაბილიტაციის ეროვნული პროგრამები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა კრიზისის მასშტაბების, ჯანდაცვის სფეროს მდგომარეობის, ეკონომიკური ვარდნის დიაპაზონის და მისი მართვის

მექანიზმების მიხედვით. შესაბამისად, განსხვავებული იყო ეკონომიკის აღდგენის ვადებიც ქვეყნების მიხედვით. გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავად ეკონომიკის სტრუქტურის სპეციფიკას, ტრანსასაზღვრო ეფექტების მეორადი გავლენის მოცულობას, ეკონომიკის სახელმწიფო მხარდაჭერის მასშტაბებს და სხვ. ამ ფაქტორების გავლენით არსებითად განსხვავებული იყო განვითარების ტემპები ქვეყნების მიხედვით (იხ. ცხრილი). სსფ-ის მიერ 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 5.5%-ით, 2022 წელს კი 4.2%-ით იყო განსაზღვრული, 2021 წელს მშპ-ის მკვეთრი ზრდა იყო დაგეგმილი ავსტრალიაში, ევროზონაში, ინდოეთში, იაპონიაში, კორეაში, ახალ ზელანდიაში, თურქეთსა და აშშ-ში. ეკონომიკის სტრუქტურაში ყველაზე მეტად იზრდებოდა მოხმარების კომპონენტი, შედარებით ნელი მასშტაბით კი, ინვესტიციები (ჩინეთის გარდა).

მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის პარამეტრები

	ფაქტ.	პროგ/ ფაქტ	პროგნოზი
	2019	2020	2021 2022
რეალური მშპ-ის წლიური ცვლილება	2.8	-4.4 -3.5	5.2 4.2
1. მოწინავე ეკონომიკის ქვეყნები	1.7	-5.8 -4.9	4.3 3.1
აშშ	2.2	-4.3 -3.4	3.1 2.5
ევროკავშირი	1.3	-8.3 -7.2	4.2 3.6
იაპონია	0.7	-5.3 -5.1	3.1 2.4
გაერთიანებული სამეფო	1.5	-9.8 -10,0	4.5 5.0
კანადა	1.7	-7.1 -5.5	3.6 4.1
სხვა მოწინავე ქვეყნები	1.7	-3.8 -2.5	3.6 3.1
2. განვითარებადი ეკონომიკები	3.7	-3.3 -2.4	6.3 5.0
განვითარებადი აზია	5.5	-1.7 -1.1	8.3 5.0
ჩინეთი	6.1	1.9 2.3	8.2 5.6
განვითარებადი ევროპა	2.1	-4.6 -2.8	4.0 3/9
რუსეთი	1.3	-4.1 -3.6	3.0 3.9
ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვა	0.0	-8.1 -7.4	4.1 2.9
ბრაზილია	1.1	-5.8 -4.5	3.6 2.6
3. დაბალშემოსავლიანი განვითარებადი ქვეყნები	5.3	-1.2 3.5	4.9 5.5
საქართველო (ფაქტ)	5.2	-6.1 4.5	10.6 1 0.2

წყარო: საეკონომიკის საგადაჭო ფონდი, მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკა, 2020

განვითარებული ქვეყნებისთვის შედარებით დაბალი ზრდის ტემპი მათი ეკონომიკის მაქსიმალურმა დისბალანსმა განაპირობა, რის გა-

მოც სტაბილიზაციის აღდგენა ამ ქვეყნებში, სსფ-ის პროგნოზით, უფრო დაბალი ტემპით იქნებოდა შესაძლებელი. კრიზისიდან სწრაფი გამოსვლისათვის მან პრიორიტეტულად საერთაშორისო ლიკვიდობაზე თავისუფალი ხელმისაწვდომობა მიიჩნია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით ქმედითი იყო ევროპის ცენტრალური ბანკის წვლილი. ევროკავშირში კრიზისის დასარეგულირებლად დიდი მასშტაბით განხორციელდა თავისუფალი სახსრების აკუმულირება, მაგრამ არ შეცვლილა ფასიანი ქაღალდების შეძენის და სესხის გაცემის პანდემიამდე არსებული სტანდარტები, რამაც საფონდო ბირჟებზე ფასიანი ქაღალდების ღირებულების ზრდა გამოიწვია და გარკვეულწილად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეაბილიტაციის შედარებით დაბალი ტემპები განაპირობა.

განვითარებულმა ქვეყნებმა ძირითადად შეძლეს შინამეურნეობები-სადმი ეფექტური დახმარება, ფისკალური ინსტრუმენტებიდან წარმატებით იყო გამოყენებული სახელმწიფოს მიერ პირდაპირი გადასახადების დაფინანსების, ინვესტირების, შეღავათიანი სესხების, გრანტების, ტრანსფერების გაცემის და სხვა მექანიზმები. ამასთან, ცენტრალურმა ბანკებმა ეფექტურად გამოიყენეს ღია ბაზარზე ოპერაციების, კრედიტების დაფინანსების გაზრდის, საპროცენტო განაკვეთის შემცირების და მონეტარული პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები.

2021 წლიდან ეკონომიკური აქტივობის სწრაფი ზრდის ტენდენცია მნიშვნელოვნად შეასუსტა მსოფლიოს მასშტაბით პროგნოზირებულზე მაღალმა ინფლაციამ, განსაკუთრებით კი, ძლიერმა ინფლაციურმა შოკმა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. ამას თან დაერთო ჩინეთში უმკაცრესი „ლოქდაუნის“ განმეორებით დაწესება და, შედეგად - შეფერხებები ერთიანი მიწოდების ჯაჭვში. ეკონომიკური გარემო, განსაკუთრებით 2022 წლის თებერვალში რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის დაწყებამ, გააუარესა და მთელ რიგ ქვეყანაზე სტაგფლაციური შოკის ეფექტი იქონია, შედეგად, თუკი 2022 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე უფრო მეტად გაიზარდა, მეორე კვარტალში, 2020 წლის შემდეგ პირველად, გლობალური რეალური მშპ შემცირდა.

პანდემიური კრიზისის პირობებში, სისტემური რისკების ზრდასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა სექტორული ცვლილებების ოპტიმიზაციას და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას მიენიჭა, რაც ეკონომიკის სტაბილიზაციის საშუალოვადიანი მიზნების რეალიზაციაზე იყო ორიენტირებული. ანტიკრიზისული სახელისუფლებო სტრატეგიის ფარგლებში ეს პლატფორმა ითვალისწინებდა წარმოების პოტენციალის ზრდის იმპერატიულ ხელშეწყობას, საყოველთაო კეთილდღეობის

ზრდის, სოციალური კეთილდღეობის და ენერგოდამოუკიდებლობის საკითხებზე აქცენტირებას.

ეკონომიკის მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები პოსტპანდემიურ პერიოდში

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე სტრუქტურული ტრანსფორმაციის პრიორიტეტები ასახულია სამთავრობო დოკუმენტში - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2030“. ჩარჩო-დოკუმენტის თანახმად, 2021-2022 წწ. ეკონომიკის რეაბილიტაციის სტრატეგიულ პრიორიტეტებად განისაზღვრა ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ექსპორტზე ორიენტირებული და რესურსდამზოგავი დარგების უპირატესი განვითარება, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ტურისტული და აგრარული სექტორების განვითარება, სოციალური გარემოს სრულყოფა.

პანდემიური კრიზისის დროს მთავრობის მხრიდან მეწარმეობის ხელშეწყობის პოლიტიკის გატარების შედეგად, 2021 წლიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქვეყნის მაკროეკონომიკური პარამეტრები, ეკონომიკურმა ზრდამ პროგნოზული 5.5 %-ის ნაცვლად 10.6%, 2022 წელს კი, 10.2 % შეადგინა. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი სამამულო პროდუქტი 2022 წელს (6 672 აშშ დოლარი) 2021 წელთან შედარებით, 20.4%-ით, 2020 წელთან შედარებით კი, 47.0%-ით გაიზარდა, 2021 წელს სიღარიბის დონე 3.8 პროცენტული პუნქტით შემცირდა და ისტორიული მინიმუმი -17.5% შეადგინა. (www.geostat.ge).

პანდემიური შოკის დასრულების შემდეგ, 2021 წელს, საბანკო სექტორში რისკის პრემიის შემცირების და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილიზების შედეგად, ფინანსური სტრესის ინდექსი (FSI) 14 პუნქტით შემცირდა, მაგრამ ის კვლავ მაღალი იყო, რაც ვალის გაზრდილ ტვირთზე მიუთითებდა. 2021-2022 წწ. ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა 15 %-ით გაიზარდა, მაღალმა საკრედიტო აქტივობამ და მცირე საკრედიტო დანაკარგებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ბანკების მოგება, გაუმჯობესდა სამომხმარებლო სესხების დინამიკა. ეროვნული ბანკის პოლიტიკა დოლარიზაციის მაღალი დონით გამონვეული სტრუქტურული რისკების შემცირებაზე წარმართა (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022).

კრიზისის პერიოდში სახელმწიფოს ფისკალური აქტივობის საკანონმდებლო უზრუნველყოფისათვის შეიქმნა სხვადასხვა ნორმატიული დოკუმენტი: „საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია“, „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, „ეროვნული ანტიკო-

რეფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“; „საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმა“. 2023 წელს მთავრობამ შეიმუშავა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის პროექტი - PFMRS, რომელმაც 8 მიმართულება მოიცვა: ბიუჯეტირება, მთავრობის ვალის მართვა, საგადასახადო და საბაჟო საკითხები, მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა, ფისკალური რისკები, სახელმწიფო შიდა ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა.

განსაკუთრებული შედეგები განაპირობა მეწარმეობის ფისკალური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებმა, შიდამეურნეობების სატრანსფერო მხარდაჭერამ და მოსახლეობის სოციალურმა დახმარებებმა. კრიზისის პერიოდში ხელისუფლების მიერ დაფინანსდა სწავლისა და პროფესიული გადამზადების, მცირეშემოსავლიანი შინამეურნეობების სამედიცინო დახმარების, სოცდაზღვევის დაფინანსების, უმუშევრობის შემწეობის დამატებითი დანახარჯები, რამაც საბოლოო ანგარიშით, გარკვეულწილად შეასუსტა შრომის ბაზარზე კრიზისის ზემოქმედების უარყოფითი შედეგები. საჯარო ფინანსების მართვაში განხორციელებული რეფორმის და მიღწეული შედეგების მიხედვით, საქართველომ მსოფლიოში უმაღლესი შეფასება მიიღო - 2006 წლის 42-ე ადგილიდან 2019 წელს მან მე-5 ადგილი, 2021 წელს კი, - პირველი ადგილი დაიკავა. ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის ორგანიზაციის - IBP შეფასებით, საბიუჯეტო სისტემის გამჭვირვალობის და ღიაობის მაჩვენებლით, საქართველომ მსოფლიოს 120 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა, კრიზისამდელი მე-5 ადგილის ნაცვლად (International Budget Partnership, 2022).

გატარებულმა ღონისძიებებმა არსებითად გააუმჯობესა ფინანსური პარამეტრები, მაგრამ საქართველოს ეკონომიკისთვის კვლავ აქტუალური დარჩა დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებელი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი დამოკიდებულება საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე, კომპანიების ფინანსურ მდგომარეობაზე მსოფლიო ფინანსური და სასაქონლო ბაზრების განსაკუთრებული გავლენა.

ხელისუფლების მხრიდან მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნით, 2021 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „მედიაციის შედეგად მიღწეული მორიგების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებების თაობაზე“ ე.წ. სინგაპურის კონვენციის რატიფიცირება, 2021 წლის 2 აგვისტოს კი, მიღებული იქნა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი. მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ინსტიტუციურ უზრუნველყოფას ახდენს „მეწარმეობის გან-

ვითარების სააგენტო“, „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“, „მცირე ბიზნესის განვითარების ფონდი“, „მცირე და საშუალო საწარმოების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი“, გატარდა მთელი რიგი ინსტიტუციური რეფორმა, რაც უშუალოდ უკავშირდება „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“, „ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების“, „ღია და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის შესახებ შეთანხმების“ და სხვა ნორმატიულ აქტის ძირითად მოთხოვნებს.

„ევროპული მცირე ბიზნესის აქტის“ ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობამ 13.06.2021 დაამტკიცა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 - 2025 წ.წ. სტრატეგია და 2021-2022 წ.წ. სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც საკრედიტო საგარანტიო პროგრამაში 2021-2022 წ.წ. დამატებით 284 სუბიექტისათვის გამოიყო 195.6 მლნ ლარის სესხი, აქედან სააგენტოს - „აწარმოე საქართველოში“ მიერ გარანტირებულია 144.5 მლნ ლარი. 2021-2022 წ.წ. ფინანსურად იყო მხარდაჭერილი საერთაშორისო ღონისძიებებზე 55 ბენეფიციარი კომპანიის მონაწილეობა, მ.შ. სსიპ-ის - „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური უზრუნველყოფით, ქართულმა კომპანიებმა მონაწილეობა მიიღეს 10-ზე მეტ საერთაშორისო ღონისძიებაში/გამოფენაში: Pitti Immagine Bimbo 2021, Playtime, Fashion Weeks 2021 (Spring/Summer), Anuga 2021, VIV MEA 2021, Intersolar North America 2022, Playtime Paris 2022 (Winter show), INTERSOLAR North America 2022, GULFOOD 2022, Fashion Weeks 2022 (Fall/Winter 2022), APLF Dubai 2021, Birmingham Food&Drink Expo 2022 . ამასთან, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი იყო შემდეგი პროექტები:

- იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონების 431 ბენეფიციართან გაფორმდა სასესხო/სალიზინგო პროცენტის თანადაფინანსების 911.6 მლნ ლარის ჯამური მოცულობის 488 პროექტი;

- მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამით, 2021 წელს 689 ბენეფიციარს გამოეყო 14 303 493 ლარის გრანტი;

- ქვეყნის საექსპორტო პლატფორმაზე www.tradewithgeorgia.com დარეგისტრირდა 660 პირი;

- 2022 წლის აპრილში ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, დაიწყო „ტექნიკური დახმარების პროგრამა“.

ეკონომიკის სტრუქტურის ტრანსფორმაციული პოლიტიკა ახალ მოთხოვნებს უყენებს რეგულირების მექანიზმებს და ხელისუფლების მხრიდან სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს ხდის ეფექტიანი საინვესტიციო

გარემოს ფორმირებას, ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციას და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის ხელშეწყობას. ხელისუფლების მარეგულირებელი ინსტრუმენტები მკაფიოდ ორიენტირებული უნდა იყოს ქვეყნის სტრატეგიული დარგების პრიორიტეტული განვითარების და მსოფლიო ბაზრებზე ეფექტური პოზიციონირების უზრუნველყოფაზე.

პოსტპანდემური ეკონომიკის სტრუქტურული პრიორიტეტები საქართველოში

საქართველოსთვის უდიდეს გამოწვევად რჩება უცხოური კაპიტალის პრობლემა - მისი მოზიდვის გაუმჯობესების და ინვესტირების საკითხი. არსებული ნაკლოვანების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს და საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციას - OPIC შორის გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ერთობლივი პროგრამა საქართველოში ამერიკული ინვესტიციების წახალისებისა და პოლიტიკური რისკების მართვის საკითხებზე.

უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს ბიზნესგარემოსა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა საინვესტიციო გზამკვლევები, საინვესტიციო პროექტების კატალოგი, ექვსი სექტორული ბროშურა და განახლებული გზამკვლევი დიპლომატიებისთვის, გამოქვეყნდა 20-მდე საერთაშორისო სტატია და ანგარიში საქართველოს შესახებ, მათ შორის, FDI Intelligence-ის მიერ მომზადებული Special Report, რომელიც საქართველოს საინვესტიციო პოტენციალზე მომზადებული დოკუმენტია და დაეგზავნა fDi Magazine-ის 15 500 და fDi Intelligence-ის ვებგვერდის 36 000 გამომწერს, რომელთა 80% მულტინაციონალური კომპანიების მაღალი დონის მენეჯერები არიან (USAID, EPRC (2021)).

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოში მიღწეული ეკონომიკური ზრდის უნიკალურად მაღალი ტემპები მნიშვნელოვანწილად ხელისუფლების აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის და კაპიტალის მსოფლიო ბაზრებზე საქართველოს წარმატებული პოზიციონირების შედეგია. 2021-2022 წწ. ჩვენს ქვეყანაში არაერთი საინვესტიციო პროექტი განხორციელდა:

- „ანარმოე საქართველოში“ სააგენტოს ინიციატივით და USAID-ის მხარდაჭერით, წამყვანმა საკონსულტაციო კომპანიამ - OCO Global შექმნა 780 სამიზნე კომპანიის სია, რომლებთანაც საქართველოს გაცნობის მიზნით გაიმართა 27 შეხვედრა;

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, განხორციელდა „აწარმოე საქართველოში“ შერჩეული პროგრამებისა და აქტივობის გავლენის შეფასების საპილოტე პროექტი;

- საქართველოს სატრანზიტო და ლოგისტიკური პოტენციალის გაძლიერების მიზნით, გრძელდება ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და საერთაშორისო სატრანსპორტო ქსელებში ინტეგრაციის ხელშეწყობა;

- მნიშვნელოვანი ინვესტიციები იდება ქვეყნის სანავსადგურე ინფრასტრუქტურის განვითარებაში. PACE Group-ის მიერ დასრულდა ფოთის ნავსადგურში ახალი მრავალფუნქციური საზღვაო ტერმინალის მშენებლობის პირველი ფაზა, რომლის საინვესტიციო მოცულობა 93 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აქედან 50 მლნ აშშ დოლარი ფინანსდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის (DFC) მიერ;

- პრიორიტეტად რჩება ანაკლიის ღრმანყოფილება ნავსადგურის მშენებლობა. 2021 წლის 13 მაისს, სსიპ - ანაკლიის ღრმანყოფილება ნავსადგურის განვითარების სააგენტოსა და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიას - MTBS-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, კომპანიამ კვლევები განაახლა ამ მიმართულებით;

- მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში. დღეისათვის დასრულებულია 6 გვირაბის მშენებლობა (სიგრძე 8300 მ), შესრულდა ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის სამშენებლო სამუშაოების 90%;

- დასრულდა ქუთაისის აეროპორტის რკინიგზის სადგურის რეაბილიტაცია;

- მსოფლიო ბანკმა 2021 წელს დაიწყო სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზიის დერეფნის გაციფრულების პროექტის - „Creating a Framework for the Digitalization of Logistics Corridor between South Caucasus and Central Asia“ განხორციელება;

- მიმდინარეობს მუშაობა გარდაბანში თანამედროვე ორი ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე;

- ექსპლუატაციაში შევიდა 6 ჰიდროელექტროსადგური 39,1 მგვტ ჯამური სიმძლავრით;

- გაფორმდა 207 მემორანდუმი 160 მცირე და საშუალო სიმძლავრის, 4 დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის განვითარების თაობაზე, ასევე 12 ქარისა და 31 მზის ელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით (ჯამური გამომუშავება -15,59 მლრდ კვტ/სთ);

- 2022 წელს დასრულდა „ჯვარი-ხორგას“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, გაგრძელდა „ახალციხე-ბათუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და „კოლხიდა-1“-ის რეაბილიტაცია.

მსოფლიო მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ფონზე, 2022 წელს საქართველოს სტაბილური ქვეყნის სტატუსი მიენიჭა, რაც წარმატებული ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამის, პრიორიტეტული დარგების სწრაფი აღდგენის და უცხოელი კრედიტორების დაინტერესების ზრდის შედეგია. სარეიტინგო კომპანის Greenfield FDI Performance Index-ის რეიტინგებში 2023 წ. ივნისის მომაცემებით, საქართველო 76 ქვეყანას შორის ინცესტიციების მშპ-თან შეფარდებით, საუკეთესო ხუთეულში მოხვდა, „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში კი, 190 ქვეყანაში მეშვიდე ადგილი დაიკავა. ფრეიზერის ინსტიტუტის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ევროპაში მე-15, მსოფლიოში კი, 25-ე ადგილზეა რაც, უდავოდ, დიდი მიღწევაა და პოსტკრიზისული რეაბილიტაციის პროგრამის წარმატებას უსვავს ხაზს.

უცხოური ინვესტიციების განსაკუთრებული როლი მნიშვნელოვნად ზრდის ანტიკრიზისული საინვესტიციო სტრატეგიის ეფექტიან გატარებაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას. საქართველოს ხელისუფლება ინვესტორებს სთავაზობს გარკვეულ პრეფერენციებს, მათ შორის - საწარმოს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სიმბოლურ ფასად გადაცემას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო შენობების მიყიდვას შეღავათიანი ფასებით, ხელისუფლების მიერ ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და მისასვლელი გზების მშენებლობას, უცხოური კომპანიებისთვის მუშახელის სათანადო მომზადებაში დახმარებას. ამ მიდგომებმა პუი-ის მოცულობის მასშტაბური ზრდა განაპირობა, რამაც 2022 წელს 2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა და დიდად შეუწყო ხელი ეკონომიკური ზრდის უპრეცედენტო მასშტაბებს ქვეყანაში.

საქართველოსთვის მნიშვნელოვან საექსპორტო პოტენციალს აგრარული სექტორი წარმოადგენს რომლის გამართულ ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული როგორც, ზოგადად, სასურსათო ბაზრებზე ქვეყნის ეფექტური პოზიციონირების, ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის კეთილდღეობის ამაღლების პერსპექტივები.

პოსტპანდემიურ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია შედარებით სტაბილურად და დადგენილი პროგნოზის მიხედვით წარიმართა, 2022 წელს 15.2 მლრდ. ლარის აგროსასურსათო პროდუქცია იქნა წარმოებული და ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 112 %-ით გაიზარდა. 2022 წელს საქართველოდან მსოფლიოს 96 ქვეყანაში

ექსპორტირებული იყო რეკორდული, - 1.3 მლრდ. აშშ დოლარის აგროპროდუქტი, რაც 2021 წლის მაჩვენებელს 10.3 %-ით აღემატება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების რეაბილიტაცია-განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დარგის მიმართ სახელმწიფო დახმარების პოლიტიკამ, რაც ძირითადად, „იაფი კრედიტის“ და „აწარმოე საქართველოში“ 1000-მდე პროექტშია ასახული.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მთის პრობლემებს, რასაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი არეგულირებს. 2021 წელს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“, დაფინანსდა 754 ინფრასტრუქტურული პროექტი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ - 16 პროექტი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2021 წელს 4200 პროექტი, 2022 წელს კი, - 4000 პროექტი დაფინანსდა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მთიან რეგიონებში ეკონომიკის აღორძინებას.

ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს უფრო მიმზიდველი საერთაშორისო ტურიზმისა და ვაჭრობის განვითარებისათვის, ყველაზე სწრაფადრეაბილიტირებადი დარგი საქართველოსთვის, სწორედ, ტურიზმია. 2022 წელს საქართველოს 5.5 მლნ საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ტურიზმის სექტორიდან მიღებულმა შემოსავალმა კი, რეკორდული თანხა- 3.5 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკური ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღება და ბუნებრივი გარემოს წონასწორობა განიხილება. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გააქტიურების შედეგად გაზრდილი რისკ-ფაქტორების შესამცირებლად, აუცილებელია გარემოს დაცვის საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება და ამ პასუხისმგებლობათა სამართლებრივი უზრუნველყოფა.

ტურიზმის განვითარება და ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და მის ეფექტურ მართვაზე. საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა კვლავ რჩება ხელისუფლების ძირითად პრიორიტეტად, ამ სექტორში საქართველოს აქვს უპირობო წარმატებები და კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები, რაც მრავალი საერთაშორისო პროექტის განხორციელებას უკავშირდება.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების

რეგულირების სრულყოფის საკითხი, მათი ფუნქციების ოპტიმალური დელეგირების, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა გაფართოების და სწორი ინსტიტუციონალიზმის მიმართულებით. სახელისუფლებო დონეებს შორის უფლებათა გადანაწილებაში ამოსავალი საკითხია ქონებრივ ურთიერთობათა დარეგულირება და საკუთრებით ვალდებულებათა გამიჯვნა, ამ პროცესების სამართლებრივი უზრუნველყოფა და ინსტიტუციური მართვა.

საქართველოს ხელისუფლება რეგიონებთან ურთიერთობის და მმართველობის ვერტიკალური იერარქიზაციის საკითხს ორგანიზაცია „ღია მმართველობა პარტნიორობაში“ (Open Government Partnership - OGP) სამოქმედო პრინციპებისა და დებულებების საუძველზე წარმართავს, რომლის მმართველი კომიტეტის წევრიც თავად არის. OGP ემსახურება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ღია მმართველობის პროცესის ეფექტიან კოორდინაციას, სამოქალაქო საზოგადოებასთან მთავრობის თანამშრომლობის გაძლიერებას და ღია მმართველობის სფეროში ინოვაციური რეფორმების ინიცირებას.

რეგიონების განვითარებაში უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით გრძელდება სახელმწიფო პროგრამა - „განახლებული რეგიონები“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მათ შორის, ურბანული განახლების დოკუმენტების შემუშავებას. (პირველ ეტაპზე პროგრამის საორიენტაციო ღირებულება 500 მლნ ლარით არის განსაზღვრული).

პანდემიური კრიზისის ეფექტურმა მართვამ ხელისუფლებას პოსტკრიზისული რეაბილიტაციის ეტაპზე სწრაფად გადასვლის საშუალება მისცა, რაც აისახა საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაღალ პარამეტრებსა და პროგნოზებში. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 2023 წლის პირველ ნახევარში 7.6%-ს მიაღწია. 2024-2025 წლებში დაგეგმილია რეალური ეკონომიკის საშუალოდ 5.2%-იანი, ხოლო 2026 წელს 5.0%-იანი მატება. ეს პერსპექტივა საფუძვლად დაედო მდიდარ ქვეყანათა ჯგუფში საქართველოს გადასვლის შესახებ სსფ-ის მიერ გაკეთებულ პროგნოზს, რამდენადაც სსფ-ის შეფასებით, 2030 წლისთვის მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ-ის მოცულობა 15200 აშშ დოლარამდე გაიზრდება, 2020 წლის 4.2 ათასი და 2022 წლის 6.7 ათასი აშშ დოლარის ნაცვლად.

ზრდის მაღალმა ტემპმა საქართველოს მთავრობის ბიუჯეტის სოციალურად ორიენტირება განაპირობა, მისი პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური გარანტიებია, აქცენტი კეთდება სოცი-

ალურად დაუცველთა რაოდენობის და სიღარიბის დონის შემცირებაზე. 2023 წლის მაისში ფულადი სოციალური დახმარება 668 555 ადამიანმა (176 494 ოჯახმა) მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 11 964 ადამიანით მეტია, დახმარების თანხამ კი 57 839 579 ლარი შეადგინა. (საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო).

საქართველოს ფინანსური სექტორის მდგრადობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მეზობელ რეგიონში ჩვენი ქვეყნის წამყვან სავაჭრო პარტნიორებს შორის პოლიტიკური დაძაბულობა, გაურკვეველობა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოსალოდნელ შედეგებში, ასევე, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ეკონომიკური შედეგების ნაკლებპროგნოზირებადობა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონში ინვესტორთა განწყობაზე და საგრძნობლად გაზარდეს ქვეყნიდან კაპიტალის გადინება, ამან კი, მაღალი დოლარიზაციის გათვალისწინებით, შესაძლოა ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების საფრთხე გაზარდოს, რაც არსებით გავლენას იქონიებს ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხზეც.

დასკვნა

პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაცია სტრუქტურული ტრანსფორმაციის და სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკას დაემყარა, რაც განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს ხელისუფლების მმართველობით ფუნქციებს და მნიშვნელოვნად ზრდის სამეურნეო პროცესში მის ჩართულობას. კრიზისის შემდგომ ეკონომიკის რეაბილიტაცია პირველ რიგში, ეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შემუშავებას და ინვესტორებთან აქტიურ თანამშროლობას, ფინანსური ბაზრების სტაბილიზაციას და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური სტრატეგიის არსი საექსპორტო წარმოების პრიორიტეტული მხარდაჭერა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციაა, ამ მიზნით კრიზისის შემდგომ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკური განვითარების საფუძვლად კერძო სექტორის განვითარებასა და ქვეყნის პოტენციალის ზრდაზე ორიენტირებული მეწარმეობის მხარდაჭერის პოლიტიკა განსაზღვრა.

ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენება ბაზრების ხელმისაწვდომობას და მათზე სტაბილურ პოზიციონირებას ემყარება. ამ საკითხში ხელისუფლების საექსპორტო პოლიტიკა უნდა გამომდინარეობდეს როგორც საკუთარი რესურსების მაქსიმალური რეალიზაციის, ასევე

გლობალურ და რეგიონულ ინტერესებთან ინდივიდუალური მოთხოვნების ჰარმონიზების პრინციპიდან. აუცილებელია კონკურენტულ სისტემებში მრავალმხრივი თანამშრომლობის და ეკონომიკური პარტნიორობის მხარდაჭერა, თავისუფალი კონკურენციის პრინციპების დაცვა და საკუთარი წარმოების პრიორიტეტული ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

პოსტპანდემიური პერიოდის ეკონომიკური წარმატებები მნიშვნელოვანი ფაქტორია უსაფრთხო და მსოფლიოსათვის მიმზიდველ ქვეყნად საქართველოს ფორმირებისათვის. ხელისუფლების თანმიმდევრული პოსტპანდემიური პოლიტიკა სწორი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების და რეფორმების ეფექტიანი ადმინისტრირების საუკეთესო პრეცედენტად იქნა აღიარებული მსოფლიოში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და გაზარდა ქვეყნის განვითარების პერსპექტივები.

ლიტერატურა:

- პაპავა ვ., ჭარაია ვ. (2020). კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. <https://gfsis.org.ge/files/library/opinionpapers/136expert-opiniongeo.pdf>
- პაპავა ირ. (2019). დეცენტრალიზაციის ქართული პარადოქსი: ცენტრალიზაცია დეცენტრალიზაციის სახელით. <https://droa.ge/?p=41594>.
- ტაბატაძე მ. (2016), სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში, თსუ, საერთ. სამეცნ. კონფერენციის მასალები. თბ., გვ.480-483
- ტაბატაძე მ. (2019). სახელმწიფო ანტიკრიზისული რეგულირება, სახელმძღვანელო, სტუ გამომცემლობა, თბილისი,
- ტაბატაძე მ. (2020). სივრცითი ეკონომიკის პრიორიტეტები და დეცენტრალიზაციის ფისკალური მექანიზმები, (ინგლისურ ენაზე), საერთაშორისო ეკონომიკური კვლევის ჟურნალი 6(1), გვ.13-22, ISSN 2500-9737 <https://irissymposium.wixsite.com/jier>
- ტაბატაძე მ. (2021). დეცენტრალიზაციის ეკონომიკური სტრატეგია და ფისკალური პოლიტიკის თავისებურებები, (ინგლისურ ენაზე), კონფერ. მასალები. გვ.366-370. <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/546/The%20economic%20strategy%20of%20decentralization%20and%20the%20features%20of%20fiscal%20policy.pdf?sequence=1&isAllowed=y>
- შტაინერი ა. (2020). ევროკომისია/პრესკონფერენცია/დეტალი/ UNDP, MEDIA GHECKER, (ინგლისურ ენაზე), https://ec.europa.eu/en/ip_20_1872
- ჯენტილიონი პ. (2020). ევროკავშირის შეხვედრის პრესკონფერენცია, 2020 წლის 20 იანვარი, ევროსაბჭო, (ინგლისურ ენაზე), <https://newsroom.consilium.europa.eu/en/press/press-conferences/20200120-ec-council-press-conference/>

- europa.eu/events/20200120-eurogroup-meeting-january-2020
- ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა IBP (2022). ქვეყნის შედეგები. <https://internationalbudget.org/open-budget-survey/country-results>
 - ევროკომისია (2020a). 2021-2027 გაერთიანებული ერების სამომავლო ბიუჯეტი და გაერთიანებული ერების მომავალი თაობა. https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
 - ევროკომისია (2020b). სახელმწიფო დახმარების დროებითი ჩარჩო. https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framework.pdf
 - ევროპარლამენტი, სიახლეები (2020). კოვიდ-19, ევროკავშირის 10 ღონისძიება ეკონომიკის დასახმარებლად. <https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625STO82007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery>
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (2023). საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2022 წლის შესრულების მონიტორინგის ანგარიში. <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53810>
 - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (2021). დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025. <https://mrdi.gov.ge/uploads/publications/5e467a975a3be.pdf>
 - საქართველოს ეროვნული ბანკი (2022). ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, <https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports>
 - საქართველოს მთავრობა (2023). დადგენილება „საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიისა და საჯარო მმართველობის რეფორმის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5723982?publication=0>
 - USAID, EPRC (2021). ეკონომიკის განვითარების სტრატეგიული ხედვა 2022-2025. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
 - მსოფლიო ბანკი (2021). დეცენტრალიზაცია. <https://www.worldbank.org/en/topic/communitydrivendevelopment/brief/Decentralization>
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2020a). მსოფლიო ეკონომიკური ზრდის პროგნოზი, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2020 b). მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკა, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
 - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (2021). „მსოფლიო ეკონომიკის მიმოხილვა - განსხვავებული პოსტ კრიზისული აღდგენის მართვა“. <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021>
 - საფრანგეთის ბანკი (2020). კოვიდის შედეგების კვლევა, <https://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2020/10/07/enquete-impact-covid-2020-09-29.pdf>

References:

- Papava V., Charaia V. (2020). koronavirusis krizisi da sakartvelos ekonomikis zogi-erti gamotsveva. [Coronomic Crises and some Challenges of Georgian Economy.] in Georgian <https://gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf>
- Papava I. (2019). detsentralizatsiis kartuli paradoksi: tsentralizatsia detsentralizatsiis sakhelit. [Georgian Paradox of Decentralisation: Centralisation Instead of Decentralisation.] in Georgian <https://droa.ge/?p=41594>.
- Tabatadze M. (2016). sakhelmtsipos politikuri strategia ekonomikuri arastabilurobis pirobebshi [State's Political Strategy During an Economic Unbalance. TSU International Scientific Conference, Tbilisi, p. 480-483.] in Georgian
- Tabatadze M. (2019). sakhelmtsipo antikrizisuli regulireba. [State Anti-Crisis Regulation, Handbook, TSU publishing, Tbilisi.] in Georgian
- Tabatadze M. (2020). sivrtsiti ekonomikis prioritetebi da detsentralizatsiis piskaluri mekanizmebi. [Priorities of Spatial Economy and Fiscal Mechanism of Decentralisation, Journal of International Economic Research, vol. 6(1), p. 13-22, ISSN 2500-9737.] in Georgian <https://irissymposium.wixsite.com/jier>
- Tabatadze M. (2021). detsentralizatsiis ekonomikuri strategia da piskaluri politikis taviseburebebi [The Economic Strategy of Decentralization and the Features of Fiscal Policy, Conference Proceeding, pp.366-370.] in Georgian <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/546/The%20economic%20strategy%20of%20decentralization%20and%20the%20features%20of%20fiscal%20policy.pdf?sequence=1&isAllowed=y>
- Gentilioni P. (2020). Eurogroup Meeting Press Conference, January 20, 2020, European Council. <https://newsroom.consilium.europa.eu/events/20200120-eurogroup-meeting-january-2020>
- Banque de France (2020). Enquête sur l'impact du Covid. <https://www.banque-france.fr/sites/default/files/media/2020/10/07/enquete-impact-covid-2020-09-29.pdf>
- CIEC (2021a). Private Consumption Expenditure, <https://www.ceicdata.com/en/indicator/private-consumption-expenditure>
- CIEC (2021b). Investment: % of GDP. <https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp>
- European Parliament News (2020). Covid-19: 10 things the EU is Doing for Economic Recovery. <https://www.europarl.europa.eu/news/en/headlines/eu-affairs/20200625STO82007/covid-19-10-things-the-eu-is-doing-for-economic-recovery>
- European Commission (2020a). 2021-2027 Long-Term EU Budget & Next Generation EU. https://ec.europa.eu/info/strategy/eu-budget/long-term-eu-budget/2021-2027_en
- European Commission (2020b). The State Aid Temporary Framework. https://competition-policy.ec.europa.eu/system/files/2022-06/Temporary_framework.pdf

- International Budget Partnership IBP (2022). Country Results. <https://international-budget.org/open-budget-survey/country-results>
- International Monetary Fund (2020a). World Economic Growth Forecast, <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
- International Monetary Fund (2020 b). World Economic Policy <https://www.imf.org/en/Countries/GEO>
- International Monetary Fund (2021). Managing Divergent Recoveries, World Economic Outlook update, April, 2021 <https://www.imf.org/en/Publications/WEO/Issues/2021/03/23/world-economic-outlook-april-2021>
- Legislative Herald of Georgia (2019). Ordinance of the Government of Georgia of 31.12.2019 on the Approval of the 2020-2025 Decentralisation Strategy and the 2020-2021 Action Plan for the Implementation of the Decentralisation Strategy. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/476>
- Legislative Herald of Georgia (2023). Law of Georgia on State debt. <https://matsne.gov.ge/en/document/view/32452?publication=13>
- Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia (2023). 2022-year Report of 2021-2023 Action Plan of 2021-2027 Development Strategy of Agriculture and Rural Georgia. <https://mepa.gov.ge/Ge/Files/ViewFile/53810>
- National Bank of Georgia (2022). Financial Stability Report. <https://nbg.gov.ge/publications/financial-stability-reports>
- USAID EPRC (2021). Strategic Vision of Economic Development 2022-2025. https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
- <https://www.worldbank.org/>
- <https://www.agro.rda.goc.ge>
- <https://www.enterprise.gov.ge>
- <https://parliament.ge>
- <https://mof.ge/5177>
- <http://sa.gov.ge>
- www.geostat.ge
- https://eprc.ge/wp-content/uploads/2022/06/economic_strategy-geo.pdf
- <https://www.ceicdata.com/en/indicator/private-consumption-expenditure>
- <https://www.ceicdata.com/en/indicator/investment--nominal-gdp>
- https://idf.ge/ge/georgia_in_the_global_innovation_index_2022
- <https://gccig.ge/>

Strategy of State Support of the Economy in the Post-Pandemic Period

Marina Tabatadze

Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tabatadze_marina@yahoo.com

One of the main economic functions of a state is to prevent developmental risks and to define correct national anti-crisis policies in harmony with global requirements. The last pandemic processes particularly highlighted the importance of state's economic function and of its governing role. This article discusses some strategies for effectively managing integration processes and the economic mechanisms of a state which interfere with the state governance system. To do so, the article analyses the state's economic function during a non-stable development and the impact of anti-crisis policy on socio-economic system and on the stabilisation of development processes.

Among others, the article presents the key topics underlining the state function in crisis management: stabilisation strategies of modern world economic processes, correct coordination of the state system in a crisis environment and optimal repartition of functions among states, modern concepts of political and economic systems of economic governance after a crisis period, adéquatation of national anti-crisis reforms with global standards.

A significant transformation of state functions takes place in a crisis environment, as the crisis shakes the principles of the gradualist concept of the post-industrial society and causes deformations of existing macroeconomic balance (Tabatadze & Tsanova, 2009). The recent global economic fluctuations and a clearly expressed cyclical nature of development, required significant changes in the neoclassical principles and activated Keynesian approaches to the economic essence of the state (Durcova, 2021).

The article analyses the case of Georgia. It examines the outcomes of Georgia's reforms which aimed at effective management of pandemic crisis. To do so, the article studies the state anti-crisis plan and post-crisis strategies in 2021-2022, their main instruments and actual outcomes. It evaluates the main steps and mechanisms of post-crisis rehabilitation state strategy, the main macroeconomic results of state economic support and the future perspectives of Georgia's economic development.

Georgia showed one of the best results of global crisis management in the world. This experience has become a precedent for other countries. Two billion GEL was allocated from the state budget to the anti-crisis program, which went in two priority directions: Financing of state social projects (granting of allowances, financing of social protection projects of the population, increase of teachers' salaries, indexation of pensions) and promotion of business (430 million GEL). The increase in state expenditures increased the budget deficit during the pandemic crisis from 2% to 9%, and by 2024 it is planned to restore this parameter to the pre-crisis level.

A key success factor can be identified as the government's attempt to maintain a balance between managing the pandemic and minimizing the economic damage. At the beginning of the crisis, the pandemic caused a sharp decrease in the economy of Georgia and further aggravated the existing problems: exchange rate of GEL, inflation, investment, unemployment, and public debt. The largest decrease was recorded in the hotel and restaurants sector - 80%, followed by a 20% decrease in the transport and warehousing sectors. Entertainment and leisure sector services decreased by 15%.

The regulatory function of the state has significantly increased in the process of risk prevention and development of a complex anti-crisis strategy. As the environmental, social and governance components of a sustainable economy have a significant impact on systemic risks, their regulation required an active involvement of the state and the use of relevant tools. State programs of entrepreneurial support, transfers to domestic farms and social assistance for persons with limited liquid funds showed significant results. Thanks to this new policy Georgia managed to provide a large-scale fiscal support to households in the second phase of the crisis, by expanding the purchase of assets, increasing credit financing, and reducing the interest rate.

In the strategy of state support of the economy, a special place was given to the rational spending of state funds and the issue of regulating the state debt. The new policy is derived from the basic requirements of the « EU Fiscal Rule » and aims at four outcomes: control the budget deficit, increase the efficiency of spending of funds, reduce the cyclicity of fiscal policy and prevent its unsustainability. Georgia also changed its priorities in terms of economic policy. The transit and tourism function were defined as the main priorities of the Georgian economy, with the aim to create prerequisites for a stable positioning in the world markets. In 2021, the growth of the Georgian economy amounted up to 10.6%, which was the best result in the region and the second-best result in Eu-

rope. IFM predicted to Georgia the highest economic growth in the region and in Europe (34.5%) for a medium-term period (2021-2025). In 2022, compared to the previous year, the volume of PUI doubled and reached an unprecedented level for Georgia - 1 billion 675 million USD which created additional resources for economic growth (Geostat, 2020).

One of the biggest challenges for Georgia during the pandemic and post-pandemic period, was the management of the state debt. Even though the state debt exceeded the safety limit (2020-60.3%, 2021-60.1%), the scale of economic rehabilitation made it possible to return it to the normative framework already in 2022. To ensure macroeconomic balance, it's important to make a complex study of its indicators. In addition, it is necessary to correctly assess the optimal portfolio of public debt and determine the effect of public debt for the medium and long term.

As a result of this above listed state support to prevent the negative effects of the economic crisis, Georgia managed to guarantee that not a single large enterprise stopped operating in the country. At the same time, international reserves increased by 11.5% and local exports by 3.5%, 1,056 million; the trade deficit improved in US dollars and amounted to 4.7 billion USD. In 2021 the international credit rating company Fitch kept Georgia in the BB category of the economic stability according to the ease of doing business and the attractiveness of the business environment, maintaining the investment environment, and ensuring resilience to external shocks.

Keywords: State anti-crisis strategy, stability of economic policy, development strategy, state economic support.

JEL Codes: E60, E61, O11, O12